ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

ვახტანგ ყოლბაია

2015 #23

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამები და ახალგაზრდობის როლი ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში

სერია: შერიგების პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ“ ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის“ რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - www.politlibrary.ge.

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მეთაურის ვახტანგ ყოლბაიას ნაშრომს „სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამები და ახალგაზრდობის როლი ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“.

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის“ განხორციელებას საქართველოში.



ვახტანგ ყოლბაია

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამები და ახალგაზრდობის როლი ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაწყებული კონფლიქტი, რომელიც ომში გადაიზარდა, ჯერ არ მოგვარებულა მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ უკვე 23 წელი გავიდა.

რეალობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის მუშაობის სტრატეგიული მთავარი მიმართულებაა სამშვიდობო ინიციატივების პროგრამები და პროექტები, რადგან მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს.

სამშვიდობო ინიციატივების პროგრამებიდან კი უმთავრესია ახალგაზრდების ჩართვა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ყველაზე მეტი გაუცხოება ახალგაზრდებშია, რადგან მათ არ აქვთ თანაცხოვრების გამოცდილება ერთიან ქართულ-აფხაზურ სივრცეში; ვგულისხმობ ერთ ქალაქში, სოფელში, უბანში ცხოვრებას, სკოლაში, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლას, მუშაობას ამა თუ იმ ორგანიზაციაში, ანუ ცნობიერების მაღალ ხარისხს, რაც უფროს თაობას აქვს დადებითი თუ უარყოფითი ფორმით და შინაარსით.

პრობლემების განსაზღვრა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურმა მთავრობამ დევნილობაში განსაზღვრა პრობლემები ახალგაზრდებთან მუშაობის მიმართულებით:

- ახალგაზრდული სამშვიდობო პროგრამების და პროექტების განხორციელების სტრუქტურის არარსებობა;
- ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელებისთვის სათანადო გარემო;
- ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში;
- ახალგაზრდებში სამშვიდობო ინიციატივების, ხედვების, უნარების განვითარება, პროდუქტიული მოქმედება;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლთა დაცვის საქმეში ახალგაზრდების დაბალი აქტიურობა;
- საქართველოს რეგიონებში, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ერისა და ეროვნების, რწმენის ახალგაზრდების შეხვედრების არასისტემატურობა, კონფერენციების, სამეცნიერო-კვლევითი შრომების განხილვისათვის არასათანადო პირობები;
- საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად აფხაზური ენის სწავლების საკითხები დევნილობაში მყოფი ახალგაზრდებისთვის და ქართული ენის სწავლების პრობლემები ოკუპირებულ ტერიტორიაზე, განათლების სისტემის რეფორმირების საკითხები;
- საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან კონტაქტების სიმწირე და სხვა.

რეალპოლიტიკა

აღნიშნული პრობლემების კვლევის პროცესში ჩართულ იქნენ სოხუმის უნივერსიტეტის და საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც ორგანიზებას უწევდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზის, წინადადებების და მოსაზრებების შეჯერების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღმასრულებელი სტრუქტურების ოპტიმიზაციის თაობაზე.

გაუქმდა განსაკუთრებულ საკითხებში მინისტრის აპარატი, რეგიონალური მართვის მინისტრის აპარატი და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატი, რომელმაც მთავრობასთან ერთად შეძლო შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება.

წარსულში იყო გამოუცდელობა, ვითარების არაადეკ-ვატური შეფასება, მოუქნელი პოლიტიკა, ყოველდღიურ წვრილმანებში დაკარგული სასიცოცხლო და პროფესიუ-ლი ენერგია, უნარ-ჩვევები, პოლიტიკური ნების არქონა, მძიმე სოციალური ფონი, საომარი ვითარება, ახალი ლტოლვილთა ნაკადი შიდა ქართლიდან, საგარეო ფაქტორები.

ახალი ხედვების და მიდგომების შედეგად გათვა-ლისწინებულ იქნა რისკ-ფაქტორები, ფრთხილი და ამავე დროს მოქნილი პოლიტიკის წარმოების სპეციფიკა; მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რეალო-ბის მიუკერძოებლად შეფასება მოგროვილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე და ობიექტური მასალების მიწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქარ-

თველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის.

მუშაობის ასეთმა სტილმა განაპირობა ახალგაზრდობის დაინტერესება ენგურს გაღმა და ენგურს გამოღმა საქართველოში.

სამუშაო გარემო ახალგაზრდობის სამშვიდობო პროგრამებისა და პროექტებისათვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატი იქცა იმ ცენტრად, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილ პროგრამებს და პროექტებს, შექმნა გარემო, სადაც ფართო გასაქანი მიეცა აზრებისა და აზროვნების თავისუფლებას.

აფხაზეთში დემოგრაფიული ცვლილებების პრობლემისათვის

დემოგრაფიული პრობლემები მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აწუხებს და საქართველოც ვერ იქნება გამონაკლისი გადატანილი სამოქალაქო ომის, აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში საომარი ვითარების გამო, მაგრამ საგანგაშოა, რომ კავკასიაში მძიმეა ქართულ-აფხაზური ეთნოსის დემოგრაფიული მდგომარეობა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 2010-2012 წლებში ოკუპირებულ აფხაზეთში ბუნებრივი მატება მხოლოდ 1490 იყო, და ამ მატებაშიც უმცირესობაში მოხვდა აფხაზური ეთნოსი. სახარბიელო მდგომარეობა არც 2013-2015 წლებშია.

უდიდესი პრობლემების მიუხედავად, დევნილობაში მყოფნი მრავლდებიან. თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე 2010-2012 წლებში ბუნებრივი მატება 1490 იყო, ენგურს გამოღმა დევნილებში - 7405, რაც 5-ჯერ აღემატება აფხაზეთში მთლიანი მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. მარტო 2013 წელს ენგურს გამოღმა დევნილებში მატება იყო 2205, 2014 წელს - 2500 და უფრო მეტი - 2015 წელს.

აფხაზეთის მთავრობის აპარატში შეიქმნა სპეციალური კომისია დემოგრაფიული პრობლემების კვლევისთვის, სადაც განსაკუთრებული ადგილი და როლი მიეკუთვნათ ახალ-გაზრდებს.

სლოგანი, რომელიც მიაწვდინეს ოკუპირებულ ტერი-ტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს, დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი იყო - „ჩვენ ერთმანეთი გვყავს გადასარჩენი“.

შესაძლოა ამ და სხვა პრობლემების გააზრებამ მისცა ბიძგი

ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდების შეხვედრების, სამშვიდობო ინიციატივების საჯაროდ გამოხატვის სურვილს, ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში ჩართვას.

ახალგაზრდები საერთაშორისო ასპარეზზე - გაუცხოების დაძლევის გზები

პრობლემებიდან ყურადღებას იმსახურებდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი, აფხაზი, ოსი და სხვა ეროვნების ახალგაზრდების შეხვედრების არასისტემურობა, რიგ შემთხვევებში დაპირისპირებაც კი, კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების სუბიექტურად შეფასების, ისტორიული წარსულის გაყალბებული ფაქტების გამო.

ასოციაციამ „რონდინე მშვიდობის ციტადელი“ იტალიის კარი გახსნა საქართველოს ახალგაზრდობისათვის, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის, რამაც ბიძგი მისცა გაუცხოების გზების ძიებას, ახალგაზრდობის ჩართულობას საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუციების დახმარებით, რაც იწვევდა დამეგობრებისთვის ხელშეწყობას, ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური, დევნილობაში მყოფი მთავრობის ხელშეწყობით ახალგაზრდების დაახლოების პროცესში ჩაერთო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ედუკატორი'' (ქ. ვარშავა), „დელბიანკოს ფონდი“ (იტალია, ქ. ფლორენცია), „ლიბელულა“ (იტალია, ქ. პალერმო), „პრომეთეო“ (იტალია, ქ. პალერმო), „ჯინო ფარადაისი“ (სლოვაკეთი), არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“, „ჰაინრიხ ბიოლის

ფონდი“, ებერტის ფონდი, საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, ცხუმ-აფხაზეთის და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიები, კავკასიური სახლი, საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლობა, გაეროს ფონდები, ბერგჰოფის ფონდი, აზერბაიჯანის, უკრაინის საელჩოები საქართველოში და სხვა.

სწორედ ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი, აფხაზი, რუსი, ოსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების, რწმენის ახალგაზრდების შეხვედრების ორგანიზება საქართველოს სხვადასხვა მხარის ახალგაზრდებთან, დევნილებთან იტალიაში, სლოვაკეთში, საბერძნეთში, საქართველოს დედაქალაქში, აზერბაიჯანში, თურქეთში. ასეთმა შეხვედრებმა გაალღო ყინული, გაჩნდა ნდობა, ტოლერანტობის უნარ-ჩვევების განვითარება, ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების პატივისცემა, წიგნიერების დონის ამაღლება.

ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სამეცნიერო წრეების პოტენციალის გამოყენება ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების გამოვლენისა და შემდგომ გამოყენების მიზნით.

ჩამოყალიბდა ერთობლივი სასწავლო ცენტრი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობას, ახალი ხედვების და ინიციატივების გასაჯაროებას, საინტერესო ინიციატივების განხორციელებას.

რამდენიმე მაგალითი: ახალგაზრდების ინიციატივას მხარი დაუჭირა მთავრობამ და განხორციელდა პროექტი - „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის საქართველოს რეგიონებში“.

განსაკუთრებული იყო პროექტი - „ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები, ინტერკულტურული

დიალოგი მშვიდობისათვის“, რომელიც „რომუალდო დელ ბიანკოს“ ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა იტალიაში, ქალაქ ფლორენციაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა აფხაზმა ახალგაზრდებმა, არამედ აფხაზეთიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულმა აფხაზმა სტუდენტებმა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგახრდობამ, რომელთა შორის 90%-ზე მეტი დევნილები იყვნენ.

ამ პროექტში ჩართულ იქნენ კავკასიის სხვადასხვა წარმომადგენლები (ჩეჩნები, ინგუშები, სომხები, აზერბაიჯანელები).

დასახული ამოცანების განხორციელებას ხელი შეუწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობასა და „რომუალდო დელ ბიანკოს“ ფონდს შორის გაფორმებულმა მემორანდუმმა ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე.

იტალიაში, ქ. ფლორენციაში, ინტერჯგუფების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები, კვლევის შედეგები ქართულ-აფხაზურ და სხვა კონფლიქტურ რეგიონებში ახალდაზრდობის ჩართულობის საკითხებზე, განხილვის თემად იქცა და გააადვილა მუშაობა ისტორიული წარსულის ფაქტების შეფასებისთვის, ანუ გამოიყო გაზიარებული ისტორიების და საკამათო ფაქტების არეალი.

დღის წესრიგში დადგა შემცირებული ფაქტების ისტორიის წიგნების გამოცემის საკითხი, რაც გაუცხოების დაძლევის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა.

სლოვაკეთში ახალგაზრდობის შეხვედრებმა აჩვენა, რომ „ნეიტრალურ მოედანზე“ ისინი ინარჩუნებენ ურთიერთპატივისცემას, ადვილად ამარცხებენ გაუცხოების „ვირუსს“.

ასეთი ფაქტები კი მიანიშნებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ახალგაზრდობასთან მუშაობის პროცესში ნაკლებადაა საჭირო პროპაგანდა, „დიდი პოლიტიკა“.

ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები

„მრგვალი მაგიდა“, რომელიც 2015 წლის ივლისში გაიმართა, შეეხო საინტერესო საკითხის განხილვას - „ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურობის ანალიზს, ახალგაზრდებისათვის საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობას, გამოყენების შესაძლებლობებს.

იტალიაში, ქ. ფლორენციაში, ევროპულ უნივერსიტეტში და კვლევის ცენტრებში ქართველმა და აფხაზმა

ახალგაზრდებმა (ოკუპირებული ტერიტორიიდან) ერთად წარადგინეს პროექტები: „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“. მოეწყო გამოფენები, ქართულ-აფხაზური კულტურის საღამოები.

ახალგაზრდობის ფორუმები და სადისკუსიო ცენტრები

დევნილი ახალგაზრდობის ინიციატივების მხარდაჭერამ გააძლიერა დევნილთა და სხვადასხვა უნივერსიტეტების არადევნილ სტუდენტთა განწყობა საერთო პროექტების შემუშავებისათვის.

ახალგაზრდული პოლიტიკის სწორი მიმართულების გატარების შედეგი იყო საქართველოს „ახალგაზრდობის ფორუმი 2015“ (2015 წ. 24 ნოემბერი), რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 100 ახალგაზრდამ საქართველოს რეგიონებიდან, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან - აფხაზებმა, ქართველებმა, ოსებმა, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, უკრაინელებმა. ფორუმის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების ახალგაზრდებიც.

მუშაობის მიმართულებები მთლიანობაში კრავდა ახალგაზრდული პოლიტიკის უმთავრეს თემებს: ახალგაზრდების ჩართულობა საერთაშორისო პროგრამებში, ახალგაზრდები სამშვიდობო პროცესში, ადამიანის უფლებები, მოვალეობები და სხვა პასუხისმგებლობები, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარება, რა გვაშორებს და რა გვაერთიანებს და სხვა.

ახალგაზრდული ფორუმის პარტნიორთა რიცხვი და სტატუსი იმდენად მაღალი იყო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიასპორების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები საზღვარგარეთიდან ჩაერთნენ ფორუმის მუშაობაში.

პარტნიორები - საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და კულტურის სამინისტროები, აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს ომბუდსმენის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა, არიან იმ ძალის და გავლენის, რომლებიც ხელს უწყობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური, დევნილი მთავრობის

და ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერის და პროექტების განხორციელების პროცესს.

თაობების კავშირისათვის

21-ე საუკუნემ, გლობალიზაციის პროცესებმა, საინფორმაციო-ტექნიკურმა პროგრესმა დღის წესრიგში დააყენა თაობების კავშირების განმტკიცების აუცილებლობა, ახალგაზრდობისათვის რეალური ინფორმაციების მიწოდება განსახილველად და განსასჯელად.

2015 წლის 18 დეკემბერს ჩატარებული „ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ფესტივალი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ ამ მიზნების შეჯამების გამოხატულება იყო. მოეწყო მასტერკლასები ახალგაზრდებისთვის, რომე-

ლშიც მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

მიზანი გამოკვეთილი იყო: სამშვიდობო ხედვების, უნარების განვითარება ახალგაზრდებში, სამშვიდობო ინიციატივების განვითარება და ხელშეწყობა, ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში ინოვაციური მიდგომების შემუშავება.

თემათა მრავალფეროვნებამ („კავკასიის კონფლიქტები და მათი პრევენციის გზები“ - კავკასიური სახლი, „ჟენევის მოლაპარაკებები და მისი შედეგები ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში თანამედროვე ეტაპზე“ – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, „აფხაზეთის მთავრობა ჟენევის მოლაპარაკებებში“ – აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში, „მშვიდობის აღდგენის პროცესები პოსტ კონფლიქტურ საზოგადოებაში“ – ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, „აქტუალური გამოწვევები და

სამშვიდობო ინიციატივები თანამედროვე ეტაპზე“ – ბერგჰოფის ფონდი, „სახალხო დიპლომატია - გაზიარებული ისტორიები“ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი, აფხაზეთის სულიერების და კულტურის ცენტრი) განაპირობა სადისკუსიო „მცირე კლუბების“ ჩამოყალიბება ფესტივალის მსვლელობის დროს, რომელმაც უკვე მოიპოვა პოპულარობა.

ახალგაზრდული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია ქვეპროგრამები: წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის, კარიერის დაგეგმვის, მწიგნობართა კლუბი, „ეტალონი“, საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკები, სატელევიზიო ახალგაზრდული, მოსწავლე-ახალგაზრდობის (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიიდან) განათლების ხარისხის გაზრდის ხელშემწყობი პროექტები.

დიალოგის ენა - ქართულ-აფხაზური

ახალგაზრდობასთან მუშაობის პროცესში უმთავრესი აქცენტი კეთდება დიალოგის ენაზე, რომელიც თავისი არსით ქართულ-აფხაზური ენების დაცვის საკითხიცაა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დეფაქტო ხელისუფლების მიერ ხორციელდება ქართული ენის შეზღუდვა, ჩანს მათი მიზანიც - საბოლოოდ მისი სრულად იგნორირება. გალის რაიონის ქართველებით დასახლებულ უბნებში, სკოლებში ქართულს „უცხო ენის“ სტატუსი აქვს, მოსწავლეებს ქართულ ენაზე სწავლების საშუალება აღარ ეძლევათ.

ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (მუხლი 6) წერია: „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა აფხაზური. რუსული ენა აფხაზურთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო ენად სახელმწიფო და

სხვა დაწესებულებებში“. საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 8) წერია: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური“.

ეს რეალობა ყველაზე მძიმედ აისახება ომის შემდგომ თაობებში. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დომინირებს რუსული ენა. იქ მცხოვრებთა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა - აფხაზური.

აფხაზეთის გარდა სრულიად საქართველოში კონსტიტუციურად დომინირებს ქართული, მაგრამ ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილში - „მეორე ენად“ ინგლისურია, ახალგაზრდების უდიდესმა ნაწილმა არ იცის რუსული ენა.

რეალობაა ისიც, რომ ქვემო ქართლის მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში სასწავლო ენა რუსულია, სასაუბრო - აზერბაიჯანული, სუსტად - ქართული. მესხეთ-ჯავახეთში, კონსტიტუციურია ქართული, მაგრამ რიგ მუნიციპალიტეტებში დომინირებს რუსული და სომხური.

ასეთ რთულ ვითარებაში, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდობას შორის ურთიერთობის ენაა რუსული, ინგლისური და არა მშობლიური ენები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა დევნილობაში ატარებს განსაკუთრებულ პოლიტიკას აფხაზური ენის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის, რომელსაც კარგი საფუძვლები ჰქონდა წინა წლებიდან. თარგმნილი იყო აფხაზურ ენაზე შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი”, ვაჟა-ფშაველას პოემა - „სტუმარ-მასპინძელი” და სხვა.

2000 წლიდან სოხუმის უნივერსიტეტში იკითხება ლექციები: „აფხაზური ლიტერატურის ისტორია“, „აფხაზური ენა“, „აფხაზური ფოლკლორი“, „ქართულ-აფხაზური

ლიტერატურული ურთიერთობები“, „აფხაზთა ეთნოლოგია“ და სხვა. უნივერსიტეტში 2009 წლიდან აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით დაიწყო სწავლება. 2013 წელს იყო პირველი გამოშვება.

2008 წლიდან დაარსდა აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 2015 წლისთვის გამოცემულია 30-მდე მონოგრაფია, სახელმძღვანელოები, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი.

გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის ინიციატივის „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის“ (COBERM) ფარგლებში განხორციელდა კვლევა - „აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობის კვლევა“.

2015 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური, დევნილი მთავრობის აპარატში, ტელევიზიით (მედიაკავშირი „ობიექტივი“, გადაცემა „აფხაზეთის დრო“), რადიოთი FM 105.1 დაიწყო აფხაზური ენის შესწავლა, აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით გადაიცემა

აფხაზურ ენაზე სპეციალური გადაცემები.

2015 წლის სექტემბრიდან მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ დაიწყო აფხაზური ენის შესწავლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში.

აჭარაში, ქ. ბათუმში გაიხსნა აფხაზური საკვირაო სკოლა, რომელიც განთავსდა თავისუფალ უნივერსიტეტში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში დაფუძნდა აფხაზეთმცოდნეობის კაბინეტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სისტემური მუშაობით ცდილობს ტრადიციების გაგრძელებას აფხაზური ენის პოპულარიზაციის საქმეში, მცირე რაოდენობით უკვე გამოცემული კომპაქტური დისკების გავრცელებას (აფხაზური ენის სასაუბრო, აფხაზურად ნათარგმნი ლიტერატურა, პოეზია).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის (დევნილობაში) ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპები

- ახალგაზრდული პოლიტიკის გამტარებლები კოორდინირებენ ღიად და საჭირო პერიოდულობით ერთობლივი მუშაობისათვის;
- აღიარებს და ხელს უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური უფლებების განმტკიცებას;
- კავშირების გაღრმავება მსოფლიოში გაფანტულ დევნილებთან, ახალგაზრდებთან და მათ ოჯახებთან;
- დევნილი ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო, ჯან-საღი და მასტიმულირებელი ატმოსფეროს შექმნა, მათი

ჯანმრთელობის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზ-რდებისათვის შეუზღუდავი გარემოს შექმნა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები;
- დიალოგის ენის - ქართულ-აფხაზური ენების განვითარება და პოპულარიზაცია.

დასკვნა

ახალგაზრდული პრობლემების ანალიზის საფუძველზე საჭიროა:

- ახალგაზრდული პოლიტიკის სამთავრობო პროგრამის შემუშავება, საკანონმდებლო ბაზის მომზადება;
- განათლება და დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა,

სოციალური მხარდაჭერა და დაცვა;

- საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა ახალგაზრდა ოჯახებისთვის სათანადო პირობების შექმნისთვის;
- საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს მრავალშვილიან ოჯახად დაკანონება, რომელთაც 3 და მეტი შვილი ჰყავთ;
- მიზანშეწონილია დევნილთა ახალგაზრდული ფონდის შექმნა შესაძლებლობის მიხედვით;
- ტელეხიდების უზრუნველყოფა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მცხოვრებ დევნილებთან;
- სამშვიდობო პროგრამების განხორციელებაში საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება;
- დაფუძნდეს ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრი;
- 2017 წელი შესაძლებელია გამოცხადდეს ახალგაზრდობის წლად.

შერიგების რესურსები არსებობს. შიდაპოლიტიკური მიზეზების გამო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა ქართული და აფხაზური მხარე, მაგრამ ჩვენ აღარ უნდა შევქმნათ ეს ბარიკადები, მით უფრო ახალგაზრდებისათვის.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ვახტანგ ყოლბაია

დაბადების თარიღი: 1952 წლის 9 სექტემბერი

დაბადების ადგილი: აფხაზეთი, საქართველო

განათლება

უმაღლესი, ქ. მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

პროფესიული საქმიანობა

1974 - 1975 წწ. - გალის რაიონი, წყალსადენების ტერი-ტორიული გაერთიანება - ეკონომისტი;

1976 – 1984 წწ. - აფხაზეთის ახალგაზრდული, რაიონული და საოლქო ორგანიზაცია - ხელმძღვანელი;

1984 – 1990 წწ. - გალის რაიონი, აღმასრულებელი ორგანო - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

1990 – 1993 წწ. - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;

1993 – 1995 წწ. - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, გალის რაიონის გამგებელი (დევნილობაში);

1987 წლიდან 2013 წლის აპრილამდე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

1992 – 2004 წწ. - საქართველოს პარლამენტის წევრი;

1995 – 2004 წწ. - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

1996 - 2003 - ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი;

1997 – 2003 წწ. - სომხეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი;

2000 – 2002 წწ. - დსთ-ს ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი;

2013 წლის აპრილიდან დღემდე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი (დევნილობაში);

იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ასევე - „კავკასიური დიალოგის" ფონდის გამგეობის წევრი;

მონაწილეობდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე.

დამატებითი ინფორმაცია

არის რამდენიმე წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი;

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიით;

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ზაზა კირთაძე	ლოგისტიკის სპეციალისტი
ანდრო გაფრინდაშვილი	პროგრამისტი
გიორგი მახარაშვილი	პროგრამისტი

ქიუელი შარტავა 1944-1993 წწ.
ეროვნული გმირი, წმინდა გიორგის ოქროს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების პატრონი, გენერალ-მაიორი

2014 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნდა ქიუელი შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ქიუელი ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მოგვიანებით მან აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, დაფუძნდა ჯერ ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ - საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების სამეცნიერო ცენტრები.
მისი აპტორობით სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი", რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის რეგიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ქიუელი შარტავას სახელთანაა დაკავშირებული შავნაბადაზე „ახალგაზრდული ქალაქის", მდ. ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე „მზიურის", ხოლო მოგვიანებით რუსთავში უნიკალური საბავშვო რკინიგზის მშენებლობა, რომლის გაშენებაც მისი ტობალური დევნის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე" და რეხში ქართველ-აფხაზთა და მთლიანად კავკასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.
ქიუელი შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „პარგი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი.
მისი მოწამეობრივი ცხოვრება ღირსეულად შეეფასა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, როდესაც განაცხადა, რომ მან „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, იცხოვრა ისე, თითქოს მთელ ტკივილს ღებულობდა საკუთარ თავზე".

ქიუელი შარტავას სახელობის
სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა
ახორციელებს "მაღლესი საუდემიური განათლების მესამე საფეხურის
(დოქტორანტურა) პროფესიულ საბაკალავრო-მაგისტრატურულ პროგრამებსა და
სამეცნიერო კვლევებს; აბრეთვე ეწევა აქტიურ საქმიანობას
ახალგაზრდა პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების მომზადების,
პროფესიონალური გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და
სტაჟირების ორგანიზაციის მიმართულებით.

#23 2015 ქართული პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0175, საქართველო, თბილისი,
კოსტავას ქ. 77 ვებ: **doctoralschool.ge**
ელ-ფოსტა: info@doctoralschool.ge ტელ: 571 169 992, 595 59 23 50